ლელა თურმანიძე*
Lela Turmanidze **

„ცხოველის სამართლებრივი სტატუსი- ევოლუცია თუ რევოლუცია“

დღესდღესობით, ცხოველთა სტატუსი, მათი უფლებები და დაცვა საკანონმდებლო დონეზე, წარმოადგენს იმ სამართლის ობიექტს თუ სუბიექტს, რომელიც იქცა საკმაოდ აქტუალურ და ამავდროულად საკამათო სახითხად. განსაკუთრებით კი, აღსანიშნავია ბოლო ათწლეულები, ვინაიდან ამ პერიოდში შეიცვალა ცხოველთა როლი ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაში. ცხოველი საზოგადოებისთვის დღეს აღარ წარმოადგენს ობიექტს, რომელსაც მესაკუთრე იყენებს თავისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ვინაიდან არსებობს ცხოველთა სახეობები, რომელთან ერთადაც ადამიანი თანაცხოვრობს და მათ მიმართ გააჩნია განსაკუთრებული ემოციური კავშირი.[1] შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში; განხილული იქნება: საკითხის პრობლემურობა, მისი საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება, თუ რა სამართლებრივ სტანდარტს აწესებს- როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობა.

სტატიაში შეფასებულია, ცხოველთა უფლებების დაცვა და მათი სტატუსი, კონსტიტუციურ, კერძოსამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებში. ასევე, საუბარია ცხოველის ღირსების პრობლემატიკაზე, ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე და ცხოველის, როგორც ექსპერიმენტული თუ გასართობი საშუალების გამოყენების მიზანშეწონილობაზე მორალურ და სამართლებრივ ჭრილში. განხილული იქნება, პრობლემის მოგვარების გზები და საკითხის სამართლებრივად გადაჭრის შესაძლო საშუალებები.

საკვანძო სიტყვები: ცხოველი, ცხოველთა უფლებების დაცვა, ცხოველის ღირსების პრობლემა, ცხოველის გამოყენების მიზანშეწონილობა, ცხოველის სამართლებრივი სტატუსი.

---

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი.
**Student of the 4th year of the undergraduate law education program of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law.

[1] იხ. ხასია გ., ცხოველის ღირსების პრობლემა სამართალში, „კერძო სამართლის მიმოხილვა”, No3-4, 2021-2022, თბ.,2001, 192.

1. შესავალი

დასაწყისშივე აუცილებელია ვახსენოთ, რომ თუ მივიღებთ მხედველობაში, იმას რომ სიცოცხლე ერთია ყველა ცოცხალი არსება ერთი წარმოშობისაა და მათ შორის განსხვავება მხოლოდ სახეობათა ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ყველა ცოცხალ არსებას აქვს მინიჭებული ბუნებრივი უფლებები და რომ ნერვული სისტემის მქონე ნებისმიერ ცხოველს გააჩნია გარკვეული უფლებები, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ცხოველთა ამ ბუნებრივი უფლებების უგულებელყოფა, აბუჩად აგდება, ან უბრალოდ მათი არცოდნა სერიოზულ ზიანს აყენებს დედაბუნებას და ადამიანებს ცხოველების მიმართ დანაშაულებრივი ქმედებებისაკენ უბიძგებს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ცხოველთა სხვადასხვა სახეობის არსებობა უკვე გულისხმობს ადამიანის სახეობის მხრიდან სხვა სახეობის ცხოველთა უფლების ცნობას, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ადამიანის მიერ ცხოველთა ჰუმანური პატივისცემა განუყოფელია ადამიანის მიერ ადამიანის ღირსების პატივისცემისგან, მაშინ, აღიარებული იქნება რომ ყველა ცხოველს აქვს უფლება მოეპყრონ პატივისცემით და არა უკადრისად და სასტიკად.[2] აღნიშნულის გათვალისწინებით იბადება კითხვები: რა იწვევს ინტერესს ცხოველის, როგორც სამართლებრივი საგნის ან ობიექტის მიმართ თანამედროვე საზოგადოებაში? აქვთ თუ არა დღეს სამართალმცოდნეებს ინსტრუმენტები იმ დილემის მოსაგვარებლად, რომელთაც ეს სფერო წარმოგვიდგენს? შეუძლია თუ არა კანონს გაითვალისწინოს ცხოველის მოვლა და კონტროლი, ცხოველის სიცოცხლე და მისი განადგურება? ცნობილი ფილოსოფოსისა და იურისტის ჯერემი ბენთამის ნამუშევრებით[3] კიდევ უფრო დიდი ყურადღება მიიპყრო კითხვამ, თუ რა ვალი გვაქვს ცხოველებთან. ბენთამინი უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებდა ცხოველთა უნარზე- გრძნობდნენ ტკივილს, როგორც მგრძნობიარე არსებები, თუმცა რთული იყო ამ იდეების კანონად გარდაქმნა.

2. კანონი და ცხოველები

ცხოველის სამართლებრივი დაცვა, შეიძლება განხილულ იყოს, როგორც სამოქალაქოსამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ, ასევე საჯაროსამართლებრივ ასპექტებში. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს და გამომდინარეობდეს კონსტიტუციიდან,მნიშვნელოვანია პირველ რიგში, კონსტიტუციური საფუძვლების შესწავლა ცხოველის დაცვის კუთხით.

2.1. ცხოველის დაცვის კონსტიტუციური საფუძვლები

---

[2] ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია [http://gspsa.org.ge/wp-content/uploads/2016/01/cxoveltauflebebismsofliodeklaracia.pdf] (1977) პრეამბულა, 1.

[3] იხ. Animal Rights Philosophy, [https://speakingofresearch.com/extremism-undone/ar-beliefs/#:~:text=In%20their%20defence%2C%20many%20activists,Principles%20of%20Morals%20and%20Legislation]

ცხოველის უფლებათა დაცვის საკითხს, ვხვდებით კონსტიტუციის 29-ე მუხლის, მეორე პუნქტში, რომლის მიხედვითაც ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით. საქართველოს კონსტიტუციის დებულებაში, არ არის ნახსენები ცხოველი, თუმცა ეს არ წარმოადგენს პრობლემას, ვინაიდან საქართველოს კანონში „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ აღნიშნულია, რომ ცხოველთა სამყარო ბუნებრივი გარემოს ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტია.[4] როდესაც განვიხილავთ ცხოველთა დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს, აქ საკითხი აქტუალური ხდება სამი მიმართულებით: 1)ცხოველთა სახეობების, 2)მათი საარსებო გარემოს (ჰაბიტატების) და 3)ცხოველთა ინდივიდების ტანჯვისა და ტკივილისგან მიყენების დაცვის ასპექტში. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი განთავსებულია ადმიანის ძირითადი უფლებების თავში, შესაბამისად, ბადებს კითხვას აღნიშნული მუხლი ემსახურება ცხოველის დაცვას თუ ადგენს სახელმწიფოს კონსტიტუციურ მიზანს, დაცული იქნას ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში საკითხი მოცემულია როგორც უფლება, ის ცალსახად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს მიზნად. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი შეიცავს ვალდებულებას დაცული იქნას გარემო და ბუნებრივი რესურსები, რომელიც მიემართება კანონმდებელს. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გარემოს დაცვის მიზანი, რომელიც ადამიანის ინტერესებით არის ნაკარნახევი არ გამოდგება ცხოველის დაცვის ინტერესების საპირისპირო ქცევის ლეგიტიმაციის საფუძვლად. ცხოველის ტანჯვას და წამებას ვერ ექნება გამართლება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესით.[5] გარემოს დაცვის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ხდება მისი უფლებების რანგში აღიარება, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების ცხოველის დაცვის სასარგებლოდ შეზღუდვისთვის საკმარის საფუძველს იძლევა. ცხოველის დაცვის მიზანი არ ითხოვს ცხოველის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად აღიარებას.

2.2. ცხოველის კერძოსამართლებრივი დაცვა

როდესაც საუბარია ცხოველის დაცვის კერძოსამართლებრივ ასპექტებზე, აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საუბარია სანივთო სამართლით მოწესრიგებულ ობიექტზე.[6] სანივთო სამართალი კერძო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი ამოცანაა ნივთების მიმართ ინდივიდთა

---

[4] იხ. *ტურავა პ.,* ცხოველთა დაცვის საჯაროსამართლებრივი საფუძვლები „კერძო სამართლის მიმოხილვა” No3-4, 2021-2022, თბ., 2001, 158.

[5] იხ.*ტურავა პ.,* ცხოველთა დაცვის საჯაროსამართლებრივი საფუძვლები, „კერძო სამართლის მიმოხილვა” No3-4, 2021-2022, თბ., 2001, 158.

[6] შეად. *ჭანტურია ლ.,* უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 200, 152.

უფლებების განსაზღვრა. ქართული იურიდიული დოქტრინის მიხედვით, სანივთო სამართალი არეგულირებს პირის ურთიერთობას ნივთთან.[7] ქართული სანივთო სამართალი იცნობს, როგორც ნივთზე სრული, კუთვნილებითი საკუთრების უფლებას, ასევე იცნობს შეზღუდულ სანივთო უფლებებს, რომლებიც შესაძლოა დავყოთ სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის უფლებებად და ე.წ. უზრუნველყოფით უფლებებად, სხვაგვარად მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად.[8] მათზე მხოლოდ ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევებში საუბრობს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 1003 მუხლი, რომლითაც ცხოველებს მფლობელობის ობიექტებს მიაკუთვნებს და მათ ნივთის ცნებასთან ათანაბრებს.[9] ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს, თუმცა მათ მიმართ გამოიყენება ნივთებისთვის განკუთვნილი ნორმები, იმდენად რამდენადაც აღნიშნული შეესაბამება ცხოველების ბუნებას და მათ დაცვას.[10]

2.3. ცხოველის სისხლისსამართლებრივი დაცვა

სისხლის სამართლის ამოცანას წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის დაცვა. სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი სისხლის სამართლის ლეგიტიმაციის საფუძველია. მოქმედმა სისხლის სამართალმა ადამიანი და ადამიანური სიკეთე პირველ ადგილზე დააყენა, თუმცა ჩნდება შეკითხვა იცავს თუ არა სისხლის სამართალი ცხოველს? აქ აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართალი არ აღიარებს მას, როგორც ცალკე არსებულ სამართლებრივ სიკეთეს, არამედ როგორც ქმედების ობიექტს რომელთანაც კონკრეტული სამართლებრივი სიკეთეა დაკავშირებული. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს, მხედველობაში მიიღება არის თუ არა ცხოველი საკუთრების ობიექტი და თუ რა ფორმით ხდება დანაშაულებრივი ქმედება, საქმე ეხება შინაურ ცხოველს თუ გარეულს.[11] ცხოველთა დაცვის კუთხით, უნდა ვახსენოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსსკ) 259-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ისჯება ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია. აქ დაცულ სიკეთეს წარმოადგენს საზოგადოებრივი ზნეობა. აღნიშნული მუხლით დასჯადია არამხოლოდ ისეთი ქმედება რომელიც იწვევს ცხოველის დასახიჩრებას ან დაღუპვას, არამედ ცხოველის წვალებაც. ცხოველთა დაცვის კუთხით ასევე აღსანიშნავია სსსკ-ის 301-ე მუხლი, რომლის მიხედვით, დასჯადია ნადირობა. ასევე, სსსკ-ის 287-ე მუხლი, რომლითაც ისჯება სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ცხოველთა სამყაროს მასობრივი განადგურება. რაც შეეხება ცხოველს, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის საგანს, აქ საყურადღებოა სსსკ-ის 187-ე და 188-ე მუხლები,

---

[7] იხ. *ზოიძე ბ.,* ქართული სანივთო სამართალი 2003, 32.

[8] იხ. *ზოიძე ბ.,* ქართული სანივთო სამართალი 2003, 32.

[9] იხ. *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი თბ., 2011, 143.

[10] შეად. *ზარანდია თ.,"* სანივთო სამართალი", 2023, 88.

[11] იხ.*ტურავა პ.,* ცხოველთა დაცვის საჯაროსამართლებრივი საფუძვლები, „კერძო სამართლის მიმოხილვა" No3-4, 2021-2022, თბ.2001, 158.

რომლებიც ითვალისწინებენ განზრახ ან გაუფრთხილებლობით, პასუხისგებას ნივთის დაზიანებისთვის ან განადგურებისთვის. ნივთის დაზიანება/განადგურებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ცხოველის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება. [12] ცხოველთა უფლებების მხრივ ასევე უნდა გამოვყოთ სსსკ-ის 409-ე მუხლი, რომლითაც ისჯება ეკოციდი,რომელიც კოდექსის მიხედვით ითვლება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით ცხოველი არ არის სისხლის სამართლის სუბიექტი, სისხლის სამართლებრივი აკრძალვის და მოთხოვნის ადრესატი, მაგრამ ის არის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი და შეიძლება დანაშაულებრივი ქმედების, თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდეს. ცხოველს ვერ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუმცა შეიძლება დაისაჯოს ის ვინც ცხოველზე განახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას

3. ცხოველთა უფლებების დაცვა- შედარებითი სამართლის პერსპექტივა

თანამედროვე საზოგადოებაში, ინტერესი ცხოველის, როგორც იურიდიული ობიექტის ან სუბიექტის მიმართ განსაკუთრებით გაიზარდა. აშკარაა მზარდი დაინტერესება ცხოველთა შესახებ კანონებისა, დისციპლინისა თუ საერთაშორისო სამართლის კვლევის მიმართ. ბოლო ათწლეულების განმავლობაში კი დაფიქსირდა მნიშვნელოვანი და მზარდი საკანონმდებლო საქმიანობები/რეფორმები ცხოველთა კეთილდღეობისა და დაცვის კუთხით, ამასთანავე გაიზარდა აღნიშნული სფეროს აკადემიური შესწავლა. სამართალი ვითარდება, იცვლება მიდგომები კონკრეტული სამართლებრივი საკითხების მიმართ, მათ შორის ცხოველთა უფლებებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, ქართულმა სამართალმაც აუწყოს ფეხი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებსა და ტენდენციებს, ამისათვის კი მნიშვნელოვანია შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ, როგორც ევროპის, ასევე ანგლო-ამერიკული გამოცდილება და მიდგომები აღნიშნული საკითხის მიმართ.

3.1. ცხოველთა დაცვის გერმანული მიდგომა

ცხოველთა დაცვის ყველა ევროპული კანონი ორიენტირებულია ცხოველთა კეთილდღეობაზე. ეს ნიშნავს, რომ ასეთი კანონები არეგულირებს ცხოველებთან ურთიერთობებს, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მცდელობით, კერძოდ ტანჯვისა ან მათი კეთილდღეობის დარღვევის თავიდან აცილების გზით, მაგრამ აღსანიშნავია რომ არ აყენებენ ეჭვქვეშ ადამიანების მიერ ცხოველთა გამოყენებას. იურიდიული თეორიის თვალსაზრისით, არაერთხელ იქნა დამტკიცებული, რომ ცხოველთა დაცვის

[12] შეად. *Weber U,* in: Arzt/Weber/Heinrich/Higendorf, Strafrecht, Besonderer Tel, Lehrbuch, 2. Auflage, Bielefeld, 2009, S. 328, 812 Rn. 12.

არსებული კანონები, ნაწილობრივ მაინც მოიცავს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას.[13] „ცხოველთა დაცვის“ კონცეფცია მოიცავს ყველა ზომას, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ემსახურება ცხოველთა სიცოცხლის, კეთილდღეობის, მთლიანობის თუ ღირსების დაცვას.

ცხოველთა დაცვის კანონმდებლობას ორი ძირითადი მოტივი უდევს საფუძვლად:ცხოველთა ანთოპოცენტრული დაცვა, რომელიც ცხოველებს მხოლოდ ირიბად იცავს. ამ კატეგორიას მიეკუთვნება კანონები, რომლებიც ეფუძნება ადამიანის ეკონომიკურ ინტერესებს. ცხოველთა ანთროპოცენტრული დაცვისგან განსხავავებით, არსებობს ცხოველთა დაცვა მისივე გულისთვის. გერმანულ სამართლებრივ სფეროში ტერმინი ethischer Tierschutz (ცხოველთა ეთიკური დაცვა) დამკვიდრდა. ეს ტერმინი შეიძლება ცოტა უცნაურად ჩანდეს ინგლისურენოვან სამართლებრივ კონტექსტში, მაგრამ ის გამოიყენება სასამართლოების მიერ გერმანულენოვან სამართლებრივ სფეროში.[14] როდესაც ვსაუბრობთ გერმანიაში ცხოველთა დაცვაზე, უპირველესად უნდა აღინიშნოს 2002 წლის, 17 მაისს კონსტიტუციაში გაწერილი ცხოველთა დაცვა.[15] კერძოდ მე-20 „ა“ მუხლის ცვლილება, რომელიც ამჟამად შინაარსობრივად ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „სახელმწიფო იცავს მომავალი თაობებისთვის და ცხოველებისთვის ცხოვრების ბუნებრივ პირობებს კონსტიტუციური მართლწესრიგის ფარგლებში კანონის, აღმასრულებელი ორგანოებისა და მართლმსაჯულების მხრიდან. თუმცა, საკითხავია როგორ აისახება ეს მიზნები სხვადასხვა კანონებში. მსჯელობას დავიწყებ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 90-ე „ა“ მუხლით. აღნიშნული მუხლი გერმანიის სამოქალაქო კოდექსს 1990 წელს დაემატა. ცვლილების მთავარი მიზანი ცხოველის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. წინაპირობად ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ ცხოველსა და ნივთს შორის თანასწორობის გაუქმება, ცხოველები წარმოადგენენ თანაქმნილებებს და მგრძნობიარე არსებებს, რომლის მიმართაც ადამიანს გააჩნია ზრუნვისა და დაცვის ვალდებულება.[16]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლი, ყურადღებას ამახვილებს ცხოველებსა და ნივთებს შორის განსხავავებაზე. ცხოველები ადრე მიეკუთვნებოდნენ ნივთებს, შესაბამისად სამართლებრივ ბრუნვაში განიხილებოდა როგორც ეკონომიკური სიკეთე, თუმცა თანდათანობით განვითარდა და რეალიზდა იდეა, რომ ცხოველები ადამიანების თანაქმნილებანი და მგრძნობიარე ცოცხალი არსებები არიან და კანონით განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ყოფნას საჭიროებენ. სამოქალაქო კოდექსი

---

[13] შეად. *ტურავა პ.,* ცხოველთა დაცვის საჯაროსამართლებრივი საფუძვლები , „კერძო სამართლის მიმოხილვა” No3-4, 2021-2022, 158.

[14] იხ. სტატია- Margo Mishel „Animals and Law”. https://www.ius.uzh.ch/de/staff/professorships/alphabetical/michel/CALE.html. 2022, 1.

[15] შეად. *ახალაია ი.,* ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა, „კერძო სამართლის მიმოხილვა”,No3-4, 2021-2022, 212.

[16] იხ. *Stresemann,* MüKo BGB, BGB § 90a, 8. Aufl., 2018, Rn. 1, Vgl. RegE, BT-Drs. 11/5463, 1. Beschlussempfehlung und Bericht des BT-Rechtsausschusses, BT-Drs. 11/7369, 1.

ნივთებს იცნობს როგორც სამართლის ობიექტებს, სადაც შედის გერმანული სამოქალაქო კოდექსის 90-ე „ა“ მუხლი, რომლის პირველი წინადადების მიხედვით ცხოველები არ არიან ნივთებთან.[17] იგი სამართლის გამომყენებელს მოუწოდებს გაითვალისწინოს კანონმდებლის ღირებულებითი ეთიკური ცხოველების დაცვის სასარგებლოდ ასევე სამოქალაქო სამართალში კანონის გამოყენებისა და ინტერპრეტაციის დროს არსებული ნორმები. [18] რაც შეეხება აღნიშნული მუხლის მეორე წინადადებას, მას მხოლოდ მითითების ფუნქცია აქვს. მუხლის მესამე წინადადება ამბობს, რომ ცხოველებთან მიმართებით გამოიყენება ნივთებთან დაკავშირებული დებულებები. დებულება, უზრუნველყოფს რომ ცხოველები სამართლებრივ ბრუნვაში ხელმისაწვდომად რჩებიან.[19] ისინი როგორც ვალდებულებით სამართლებრივი გარიგების და სანივთო სამართლის ობიექტი უნდა განვიხილოთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მესაკუთრემ ცხოველის მიმართ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების დროს ნივთებთან დაკავშირებული დებულებები უნდა გაითვალისწინოს. ზემოთთქმულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ცხოველები გერმანულ სამართალში არ არიან ნივთები, თუმცა ისე ექცევიან როგორც ნივთებს.

3.2. ცხოველთა დაცვა სხვა ევროპულ ქვეყნებში

ევროპის სხვა და სხვა ქვეყანაში, მიდგომები და ნორმატიული აქტები ცხოველთა დაცვის მხრივ განსხვავებულია, თუმცა შესაძლოა ითქვას, რომ ყოველი მათგანი ემსახურება ცხოველთა კეთილდღეობასა და არასაჭირო ტანჯვისგან მათ დაცვას. ცხოველთა უფლებების მხრივ, საინტერესოა ფრანგულ სამართალში განხორციელებული ცვლილება. თავდაპირველად, კანონის ტექსტი ითვალისწინებდა შემდეგ ფორმულირებას: „ბუნებით მოძრავ ნივთებს წარმოადგენენ ცხოველები, რომელთაც ერთი ადგილიდან სხვა ადგილას გადაადგილება შეუძლიათ, ან საკუთარი შესაძლებლობებით, ისე როგორც, მაგალითად, ცხოველებს, ან უცხო ძალის გამოყენებით, როგორც უსულო ნივთებს“. 1999 წლის 6 იანვარს N99-5 საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, ეს ტექსტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „თავიანთი ბუნებით მოძრავ ნივთებს წარმოადგენენ ის ცხოველები და სხვა სხეულები, რომელთაც ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე გადაადგილება თავადვე შეუძლიათ ან უცხო ძალის გამოყენებით.[20] კანონის ამ ცვლილებით, თითქოს ცხოველი გამოირიცხა „სხვა სხეულების“ კატეგორიიდან და გატარდა ცხოველების პირების კატეგორიასთან შესაძლო დაახლოების იდეა. თუმცა, დღეს არსებული მიდგომით ცხოველები განეკუთვნებიან მოძრავ ნივთთა კატეგორიას.

---

[17] იხ.*Stresemann*, MüKoBGB, BGB § 90a, 8. Aufl., 2018, Rn. 3. Vgl. BT-Drs. 11/5463, 5.

[18] იხ.*Stresemann*, MüKoBGB, BGB § 90a, 8. Aufl., 2018, Rn. 3.

[19] იხ.*Stresemann*, Muenchener Kommentar zum BGB, BGB § 90a Tiere, 8. Aufl., 2018, Rn. 6-9.

[20] შეად..*ზარანდია თ.,* სანივთო სამართალი, 2003, 88.

3.3. ანგლო-ამერიკული პერსპექტივა

ამ ეტაპზე, განხილვის საგანს წარმოადგენს დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოველთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული მიდგომები. დიდი ბრიტანეთი არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც განახორციელა ცხოველთა უფლებების დამცველი საკანონმდებლო აქტების იმპლემენტაცია, კერძოდ, 1822 წელს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი პირუტყვის მიმართ სასტიკი და არასწორი მოპყრობის შესახებ. აღნიშნული აქტის იმპლემენტაციით დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ საჯაროდ განაცხადა, რომ ცხოველები წარმოადგენენ გონიერ არსებებს და არა მხოლოდ მოხმარების საგანს. აღნიშნულმა აქტმა გამოიწვია ცხოველთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული არაერთი აქტის შემუშავების ფორსირება. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქ ცხოველთა უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია ხელისუფლების სამივე დონეზე: ფედერალური, საშტატო და ადგილობრივ დონეზე. ფედერალური კანონები არეგულირებს ცხოველთა უფლებების დაცვის ზოგად და მინიმალურ სტანდარტებს. საშტატო და ადგილობრივი კი კონკრეტულ საკითხებს. ყველაზე მნიშვნელოვანს, ფედერალური კანონმდებლობიდან წარმოადგენს ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ აქტი, რომელიც მიიღეს 1996 წელს.[21] და სავალდებულოა ამერიკის ყველა შტატისთვის. თუმცაღა აღსანიშნავია, რომ აქტის მოქმედების სფერო შეზღუდულია, კერძოდ, ის იცავს ძაღლებს, კატებს, პრიმატებს და სხვა ძუძუმწოვრებს, რომელთა შეძენა, გასხვისება ან/და გამოყენება შესაძლებელია. ასევე, განსაზღვრავს ცხოველებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტებს. გარდა ცხოველთა კეთილდღეობის აქტისა, არსებობს სხვა ფედერალური აქტები, რომლებიც ეხება ცხოველთა უფლებებს. ესენია: 1958 წელს მიღებული კანონი ცხოველის ჰუმანური დაკვლის შესახებ; 1073 წელს მიღებული- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ჯიშების შესახებ აქტი. რაც შეეხება საშტატო კანონმდებლობას, ის არეგულირებს ისეთ საკითხებს რომლებიც ვერ მოექცა ფედერალურ კანონმდებლობის დაცვის სფეროში, მაგალითად შინაური ცხოველები. აღსანიშნავია, რომ ყველა შტატის კანონმდებლობა ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობას განიხილავს როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს.

4. ცხოველთა ღირსების პრობლემა.

აღსანიშნავია რომ დღემდე არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ აღიარებს ცხოველს, როგორც ნივთს ან გარკვეულ შემთხვევაში საერთოდ გაურბის მისი სამართლებრივი სტატუსის ნორმატიულ განსაზღვრას. თუმცა, აქ საინტერესოა რამდენად რეალისტურია ცხოველის ღირსების საკანონმდებლო დონეზე აღიარება. აღიარებული მოსაზრებით, ცხოველი არის ადამიანის დაცვასა და კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტი და მის მესაკუთრეს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი ინტერესების

[21]შეად. ცხოველთა კეთილდღეობის აქტი(AWA) < https://www.nal.usda.gov/legacy/awic/animal-welfare-act .>

დასაკმაყოფილებლად.[22] საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცხოველებს არ გააჩნიათ თანდაყოლილი ღირებულებები.[23] ცხოველს მიანიჭო ღირსება, მაშინ როცა ის სამართლის ობიექტად განიხილება არის მორალურად გაუმართლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის და ცხოველის მგრძნობელობის ხარისხის მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავება გაუმართლებელია, თუმცა, ისინი ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავებულნი არიან, კერძოდ, ცხოველებს არ აინტერესებთ რამდენი ხანი იცოცხლებენ, ისინი არ არიან თვითშეგნებული, არ აქვთ სამომავლო გეგმები და რაც მთავარია არ აქვთ ინტერესი არსებობის გაგრძელების, რაც მიუთითებს იმაზე რომ მათ არ აქვთ თანდაყოლილი ღირებულებები და შესაბამისად ღირსება.

5. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრობლემა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით: პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.[24] ხოლო, რაც შეეხება ანაზღაურების საკითხს ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ასპექტში, აქ საყურადღებოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1003-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: ცხოველის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად. [25] კანონი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ცხოველის მფლობელს იმ ზიანისთვის, რომელიც მისმა ცხოველმა მიაყენა სხვას. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო თუ გაქცეული. ცხოველის მფლობელი მხოლოდ იმ შემთხვევაში განთავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ მან მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირის დასაცავად. პასუხისმგებლობა ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისთვის ეკისრება ცხოველის მფლობელს, ეს იმას ნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს არამესაკუთრესაც, თუ ზიანის მიყენების მომენტისთვის ცხოველი მის მფლობელობაში იყო(მაგალითად თუ მესაკუთრემ ცხოველი მიაბარა სხვა პირს). სამართლებრივი რეგულირების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ

---

[22] *Doms W. A,* Human Subjects and Animal Objects: Animals as "Other® in Law, Journal of Animal Law & Ethics Vol 3, 2009. 3

[23] იხ. Anne Peters, The moral Problem of Animal use. https://www.cambridge.org/core/journals/american-journal-of-international-law. 2021წ, 641.

[24] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (22/02/2023 - 16/05/2023 მდგომარეობით) 992-ე მუხლი.

[25] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (22/02/2023 - 16/05/2023 მდგომარეობით) 1003-ე მუხლი:

ადამიანთა საქმიანობა. ზიანის მიყენება მატერიალური ობიექტის მიერ, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს, მისი სარგებლობის საქმიანობის ფარგლებს გარეთ სამართლებრივ რეგულირებას არ ექვემდებარება. მხოლოდ საქმიანობის პოზიციიდან შეიძლება აიხსნას ის, რომ სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს გარეული ცხოველების მესაკუთრეს არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც დგება იმ ცხოველების მიერ, რომლებიც ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო არ ახორციელებს საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრული ობიექტის გამოყენებასთან.

6. ცხოველი, როგორც სამართლის ობიექტი თუ სუბიექტი?

როდესაც საუბარია იმაზე, ცხოველი ობიექტს მიეკუთვნება თუ სუბიექტს, ჩნდება შემდეგი კითხვები: უნდა მოხდეს თუ არა ცხოველის სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესება მისი ნივთის ცნებიდან გამოყოფის გზით? რამდენად რეალისტურია ცხოველის ღირსების საკანონმდებლო დონეზე აღიარება.[26] ცხოველის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მორალურ ასპექტებსაც მოიცავს. ცხოველს მიანიჭო ღირსება, თუ მას სამართლის ობიექტად განიხილავთ, მორალურად გაუმართლებელია. თუმცა, რამდენად გონივრულია ცხოველს, როგორც ცოცხალ არსებას და სხვა ნივთებს გააჩნდეთ ერთი და იგივე სამართლებრივი სტატუსი? გერმანელი ფილოსოფოსი-იმანუელ კანტი ამბობს, რომ ცხოველი ადამიანის ინსტრუმენტია, რომელთა დაცვა ხორციელდება.[27] სამართლის სუბიექტად აღიარებისთვის, აუცილებელია შესაბამის არსებას გააჩნდეს უნარი გააცნობიეროს მისი უფლებები და იმოქმედოს ამ უფლებების შესაბამისად. აქედან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება საკითხი, შესაძლებელია თუ არა ცხოველი იყოს სამართლის სუბიექტი, მაშინ როცა მას არ გააჩნია ვალდებულებები.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ცხოველი აღარ წარმოადგენს კლასიკური გაგებით ობიექტს, საგანს, მან შეიძინა სუბიექტისთვის დამახასიათებელი ელემენტი, საკუთარი უფლება.[28] თუმცა, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცხოველი გონიერი არსების თვისებებით ხასიათდება, ცხოველს არ შეუძლია განახორციელოს ქმედება სამართლებრივი გაგებით. შესაბამისად, იგი ვერ იქნება სამართლებრივი ნორმის, მოთხოვნის და აკრძალვის ადრესატი. თანამედროვე სამართალი მხოლოდ ადამიანურ ქმედებებს ემყარება. როგორც ადამიანი ვერ მოახდენს ზეგავლენას ბუნებრივ მოვლენებზე, ისე ცხოველთა ქცევაც უნდა იქნას გამორიცხული ქმედების ცნებიდან.[29] მაშინ,

---

[26] იხ.*ხასია გ.,* ცხოველის ღირსების პრობლემა სამართალში, „კერძო სამართლის მიმოხილვა" No3-4, 2021-2022, 192.

[27] იხ. Kant against the Animals, Part 1: The Indirect Duty View <https://academic.oup.com/book/4616/chapter-abstract/146751415?redirectedFrom=fulltext >

[28] იხ.კიტია რ., ცხოველთა უფლებები ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში, „კერძო სამართლის მიმოხილვა" No3-4, 2021-2022.184.

[29] შეად. ნანეშვილი გ., სამართლის ფილოსოფიის საკითხები თბ., 1992, 181.

როცა ცხოველი არ განიხილება სამართლის სუბიექტად იმის გამო, რომ ის ვერ იქნება სამართლებრივი მოთხოვნისა და აკრძალვის ადრესატი, ჩნდება კითხვა თუ რამდენად არის მისთვის დამახასიათებელი სამართალსუბიექტობა ზოგადად? აქ პასუხი ერთგვაროვანია, ზოგადად, სამართლის სუბიექტისთვის აუცილებელი თვისებაა ქმედუნარიანობა, შესაბამისად, ის რასაც ქმედუნარიანობა არ ახასიათებს, არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც სამართლის სუბიექტი.[30] გარდა ქმედუნარიანობისა, ცხოველს არ გააჩნია ღირსება, შესაბამისად, არც პიროვნულობა და უფლებაუნარიანობა.[31] აღნიშნული მტკიცდება იმითაც, რომ კითხვა „ვინ?“ დაისმის ადამიანზე, ხოლო კითხვა „რა?“ უსულო საგნებსა და ცხოველებზე. უხსოვარი დროიდან კაცობრიობა ცხოველებს აღიქვამდა როგორც ადამიანის უფლების ობიექტს. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ცხოველთა მფლობელობა საჭირო იყო გარკვეული პროგრესის მისაღწევად. ადამიანი ცხოველს იყენებდა როგორც ობიექტს, როგორც ქონებას. დროთა განმავლობაში კი დამკვიდრდა ტერმინი „ზრუნვის ვალდებულება“, რაც განაპირობა იმან, რომ ცხოველმა შეიძინა სუბიექტისთვის დამახასიათებელი უფლებები.

6.1. მორალური პრობლემა ცხოველთა გამოყენებაში

მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ცხოველთა კეთილდღეობის კანონები მყარად რჩება და მოქმედებს და არანაირად არ არის გასაჩივრებული არის ის, რომ ადამიანების უმეტესობა ეთანხმება მათი გამოყენებისა და მკურნალობის ორმხრივობას და მიიჩნევს ცხოველთა მოპყრობას, როგორც პირველად, ან, შესაძლოა, ექსკლუზიურ, მორალურ საკითხს. ანუ, ჩვეულებრივი მორალური სიბრძნე (ყოველ შემთხვევაში, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში) არის ის, რომ არაადამიანები განსხვავდებიან ადამიანებისგან იმით, რომ პირველებს აქვთ თვისობრივად განსხვავებული გონება ადამიანებისგან და არ არიან ისეთი არსებები, რომლებსაც ასე თუ ისე აინტერესებთ რამდენ ხანს იცხოვრებენ, მაგრამ მხოლოდ იმაზე არის ორიენტირებულნი, კარგად ექცევიან თუ არა მათ. ჩვეულებრივ, ადამიანები შენიშნავენ, რომ, მაგალითად ძაღლები "ცხოვრობენ აწმყოში" და არ ფიქრობენ წარსულზე ან მომავალზე. თუ ეს არის ძაღლების შემეცნების ემპირიულად სწორი განცხადება, მაშინ ასე მიდის მსჯელობა, ძაღლები არ უნდა იყვნენ თვითშეგნებული ისე, როგორც ჩვენ, რომლებსაც წარსულის მოგონებები და მომავლის მოლოდინები გვაქვს. და ბოლოს, სიცოცხლე არ არის ისეთივე ზიანი ძაღლებისთვის, როგორც ადამიანებისთვის, რომელთა სამომავლო გეგმები სიკვდილით ჩაიშლება. ეს აზროვნება იმდენად ღრმად არის გამჯდარი, რომ ის გადაწონის ცხოველების დამცველების შეხედულებებსაც კი.[32]

---

[30] შეად.კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 184.

[31] იხ.ცქიტიშვილი თ., ცხოველის სისხლისსამართლებრივი დაცვა, „კერძო სამართლის მიმოხილვა“ No3-4, 2021-2022, 166.

[32] იხ. Margo Mishel- “Animal and Law” https://www.ius.uzh.ch/de/staff/professorships/alphabetical/michel/CALE.html. 2022, 1.

როდესაც საუბარია ცხოველთა გამოყენებაზე, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, აქ აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა, თუ რა მიზანს ემსახურება ეს. უმეტესად, როდესც საქმე ეხება ექსპერიმეტების ჩატარებას ცხოველებზე სამედიცინო მიზნებისთვის, რის შედეგადაც სამომავლოდ ბევრ ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნდება და გადარჩება, აქ გაუმართლებელია ცხოველების ინტერესის წინ დაყენება, ვიდრე ადამიანური ინტერესებისა. საბოლოოდ, ადამიანთა ინტერესები ყოველთვის გადაწონის ცხოველთა ინტერესებს, რაც საზოგადოების უმეტესი ნაწილის მხრიდან მორალურად გამართლებულია, რადგან შედეგი ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება.

6.1.1. ცხოველთა გამოყენება ექსპერიმენტული და გასართობი მიზნებისთვის.

2010 წელს ევროკავშირმა მიიღო ახალი დირექტივა, რომელიც მიზნად ისახავს ცხოველებზე ექსპერიმენტებთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაციას. ახალი დირექტივა[33] ადგენს გაუქმების მიზანს, სადაც ნათქვამია, რომ ეს დირექტივა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ცოცხალ ცხოველებზე სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის პროცედურების სრული ჩანაცვლების საბოლოო მიზნის მისაღწევად, როგორც კი ეს მეცნიერულად შესაძლებელი იქნება. ამ მიზნით, ის ცდილობს ხელი შეუწყოს ალტერნატიული მიდგომების წინსვლას. ის ასევე, ის ცდილობს უზრუნველყოს მაღალი დონის დაცვა ცხოველებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებენ პროცედურებში გამოყენებას.

ლაბორატორიულ ცხოველებზე ევროპულ და აშშ-ს კანონებს შორის არის შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლები: მაშინ როცა ახლად ამოქმედებული ევროპული დებულებები ვრცელდება ხერხემლიანთა ყველა სახეობაზე, ასევე ძუძუმწოვრებისა და ცეფალოპოდების ნაყოფებზე, ხოლო, ფრინველებზე, თაგვებსა და ვირთხებზე კი არ ვრცელდება, რითაც ლაბორატორიული ცხოველების დაახლოებით 90 პროცენტი დაუცველი რჩება. როდესაც ეს შესაძლებელია, პროცედურის ნაცვლად უნდა იქნას გამოყენებული მეცნიერულად დამაკმაყოფილებელი მეთოდი ან ტესტირების სტრატეგია, რომელიც არ გულისხმობს ცოცხალი ცხოველების გამოყენებას“ (ჩანაცვლების პრინციპი). თუ ცხოველებზე ექსპერიმენტი აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად (როგორიცაა მეცნიერულ კითხვაზე პასუხის გაცემა ან წამლის ტესტირება), ლაბორატორიული ცხოველების რაოდენობა უნდა შემცირდეს აუცილებელ მინიმუმამდე (შემცირების პრინციპი).

და ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გამრავლება, განსახლება და მოვლა, ისევე როგორც პროცედურებში გამოყენებული მეთოდები, უნდა

[33] EU Directive 2010/63/EU on the protection of animals used for scientific purposes“ 2010.

დაიხვეწოს გვერდითი ეფექტების (როგორიცაა ტკივილი, ტანჯვა და დისტრესი) აუცილებელ მინიმუმამდე შემცირებით. ევროკავშირში კოსმეტიკური პროდუქტების ცხოველებზე ტესტირების აკრძალვა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. 2013 წლის 11 მარტისთვის მიღწეული იქნა გასვლის სტრატეგიის ბოლო ეტაპი, რაც ნიშნავს, რომ არა მხოლოდ აკრძალულია ჭიანჭველების მალებზე ტესტირება კოსმეტიკური პროდუქტების, არამედ ასევე აკრძალულია ევროკავშირში ჭიანჭველებზე გამოცდილი კოსმეტიკური საშუალებების იმპორტი და გაყიდვა. რაც შეეხება გასართობად გამოყენების მიზანს, ცირკებისა და მსგავსი დაწესებულებებისთვის აბსოლუტურად აკრძალულია გარეული (არამოშინაურებელი) ცხოველების შენახვა და გამოყენება.[34] აკრძალვა უნდა ჩაითვალოს ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობის მნიშვნელოვან წარმატებად, რადგან ის კონკრეტულად ზღუდავს ცხოველების გართობისა და სიამოვნებისთვის გამოყენების უფლებას.

7. დასკვნა

ცხოველთა დაცვის კანონმდებლობის წარმოშობის, ცნებებისა და ეროვნული თავისებურებების შესწავლისას ცხადი ხდება, რამდენად რთული იყო და დღესაც არის კანონისთვის ცხოველების საჭიროებების, ინტერესებისა და სიცოცხლის ეფექტურად დაცვა. ცხოველების დასაცავად ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობით სარგებლობენ, მაგრამ ეს დაცვა მკვეთრად განსხვავდება ადამიანებზე მორგებული ნორმებისგან. ეს ანალიზი, უპირველეს ყოვლისა განმარტავს ორ ტენდენციას: ერთი, აშკარაა თუ როგორი არის ცხოველთა კეთილდღეობის კანონები (ისევე როგორც ცხოველთა კეთილდღეობის ყველა ევროპული კანონი), აღნიშნული, პირველ რიგში, მიზნად ისახავს ტკივილისა და ტანჯვის მიყენების თავიდან აცილებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს თავდაპირველი მიზანი არსებითად ჯერ კიდევ განსაზღვრავს ცხოველთა დაცვის კანონების კონცეფციას, დღეს უკვე სხვა ცენტრალური მიზანი გაჩნდა ბოლო წლებიდან გამომდინარე. ცხოველთა დაცვის უახლოესი კანონები მიზნად ისახავს ცხოველების დაცვას, მათ კეთილდღეობას და სიცოცხლის უზრუნველყოფას. ცხოველთა კეთილდღეობა, როგორც ეს ჩაფიქრებულია ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობით, უფრო მეტად მოიცავს არა წმინდა ფიზიკურ მოთხოვნილებებს, არამედ ემოციურ და სოციალურ საჭიროებებს. აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტის გაცნობიერებამ, რომ ცხოველები არიან მგრძნობიარე არსებები, რომლებიც საჭიროებენ დაცვას ტანჯვისა და ტკივილისაგან და ასევე იმის აღიარებამ, რომ მათ აქვთ უფლება იცხოვრონ თავიანთი ბუნების შესაბამისად. აქ საზრუნავი არის ცხოველის თანდაყოლილი ღირებულებების დაცვა. ცხოველების სიცოცხლის ყოვლისმომცველი დაცვის დაწესება ცხოველთა ეთიკური დაცვის

[34] შეად. ცხოველთა კეთილდღეობის აქტი(AWA) https://www.nal.usda.gov/legacy/awic/animal-welfare-act.
(§ 27(1) AWA).

გარდაუვალი იმპერატივია. მეორე მხრივ, ასევე შეიძლება აღინიშნოს ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობის ფარგლების გაფართოება. ცხოველთა დაცვის პირველად კანონებში, რომელიც ძირითადად ანთროპოცენტრული იყო, მხოლოდ ის ცხოველები მოიაზრებოდა, რომლებსაც ადამიანისთვის ინსტრუმენტული მნიშვნელობა ჰქონდათ, ამ დღეებში კი კანონში ჩართვის კრიტერიუმი, სულ მცირე სენტიმენტალურობაც კი შეიძლება იყოს. თანამედროვე სამართლებრივი სისტემები კი ყველა ცხოველს მოიცავს დაცვის სფეროში.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 (22/02/2023 - 16/05/2023 მდგომარეობით).
2. ცხოველთა კეთილდღეობის აქტი(AWA) https://www.nal.usda.gov/legacy/awic/animal-welfare-act.(§ 27(1) AWA).
3. Margo Mishel- “Animal and Law” https://www.ius.uzh.ch/de/staff/professorships/alphabetical/michel/CALE.html. 2022, 1.
4. „EU Directive 2010/63/EU on the protection of animals used for scientific purposes“ https://norecopa.no/legislation/eu-directive 201063/#:~:text=Directive%202010%2F63%20was%20amended,total%20replacement%20of%20animal%20use%3A
5. კიტია რ., ცხოველთა უფლებები ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში, „კერძო სამართლის მიმოხილვა“ No3-4, 2021-2022.184.
6. ნანეშვილი გ., სამართლის ფილოსოფიის საკითხები თბ., 1992, 181
7. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 184.
8. ცქიტიშვილი თ., ცხოველის სისხლისსამართლებრივი დაცვა, „კერძო სამართლის მიმოხილვა“ No3-4, 2021-2022, 166.
9. ხასია გ., ცხოველის ღირსების პრობლემა სამართალში, „კერძო სამართლის მიმოხილვა” No3-4, 2021-2022, 192.
10. „Kant against the Animals, Part 1: The Indirect Duty View“ https://academic.oup.com/book/4616/chapter-abstract/146751415?redirectedFrom=fulltext
11. doms W. A, Human Subjects and Animal Objects: Animals as "Other® in Law, Journal of Animal Law & Ethics Vol 3, 2009. 3
12. Anne Peters- The moral Problem of Animal use. https://www.cambridge.org/core/journals/american-journal-of-international-law. 2021წ, 641
13. Stresemann, Muenchener Kommentar zum BGB, BGB § 90a Tiere, 8. Aufl., 2018, Rn. 6-9.
14. Margo Mishel „Animals and Law”. https://www.ius.uzh.ch/de/staff/professorships/alphabetical/michel/CALE.html. 2022, 1.

15. ახალაია ი., ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა, „კერძო სამართლის მიმოხილვა",No3-4, 2021-2022, 212.
16. Stresemann, MüKo BGB, BGB § 90a, 8. Aufl., 2018, Rn. 1, Vgl. RegE, BT-Drs. 11/5463, 1. Beschlussempfehlung und Bericht des BT-Rechtsausschusses, BT-Drs. 11/7369, 1.
17. Stresemann, MüKoBGB, BGB § 90a, 8. Aufl., 2018, Rn. 3. Vgl. BT-Drs. 11/5463, 5.
18. Stresemann, MüKoBGB, BGB § 90a, 8. Aufl., 2018, Rn. 3.
19. Weber U, in: Arzt/Weber/Heinrich/Higendorf, Strafrecht, Besonderer Tel, Lehrbuch, 2. Auflage, Bielefeld, 2009, S. 328, 812 Rn. 12.
20. ტურავა პ., ცხოველთა დაცვის საჯაროსამართლებრივი საფუძვლები , „კერძო სამართლის მიმოხილვა" No3-4, 2021-2022, 158.
21. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 200, 152.
22. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი 2003, 32.
23. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი თბ., 2011, 143.
24. ზარანდია თ.," სანივთო სამართალი", 2023, 88.
25. ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია- http://gspsa.org.ge/wp-content/uploads/2016/01/cxoveltauflebebismsofliodeklaracia.pdf. (1977) პრეამბულა, 1.
26. ჯერემი ბენთამი „ცხოველთა უფლებების ფილოსოფია" <https://bit.ly/3IWdjO1 >
27. ხასია გ., ცხოველის ღირსების პრობლემა სამართალში, „კერძო სამართლის მიმოხილვა", No3-4, 2021-2022, თბ.,2001, 192.

"The legal status of animals - evolution or revolution"

Nowadays, the status of animals, their rights, and protection at the legislative level represents the object or subject of the law, which has become quite relevant and at the same time controversial. The last decades are especially noteworthy since the role of animals in the daily lives of people has changed during this period. The owner uses it to satisfy his interests since there are animal species with which people live together and have a special emotional connection with them. Accordingly, within the framework of the mentioned work; It will be discussed: the problematic nature of the issue, its regulation at the legislative level, and what legal standard is established - both the legislation of Georgia and the legislation of other countries. The article evaluates the protection of animal rights and their status in constitutional, civil, and criminal aspects. Also, we are talking about the issue of the dignity of the animal, the issue of compensation for the damage caused by the animal, and the appropriateness of using the animal as an experimental or entertainment tool from a moral and legal point of view. Ways to solve the problem and possible means of solving the issue legally will be discussed.

Keywords: animal, protection of animal rights, the problem of animal dignity, the expediency of animal use, the legal status of animal.